

სპორტბიელი



სპორტული გაზეთი ორშაბათი 13 მარტი 2006 №55 (2677)

ფასი 50 თეთრი

სპორტუბელი და სპორტული გაზეთის ორშაბათი არჩევნულია



გურამ დელაჯანიანი ფოტო

იონანიძე დინამოზე დისერტაციას ისწავს



გურამ დელაჯანიანი ფოტო

„დინამო“ — „ზესტაფონი“ 2:2. ზურაბ იონანიძის დუბლს დინამოელმა მიხეილ ბობოხიძემ (მარჯვნივ) დუბლითვე უპასუხა

მე-18 ტურის მატჩი:

„დინამო“ — „ზესტაფონი“

მე-18 ტურის კაცი:

ზურაბ იონანიძე

მე-18 ტურის სკანდალი:

„სიონი“ — „ბათუმი“

მე-18 ტურის სიურპრიზი:

პირველი არგენტინული გოლი

მე-18 ტურის მოულოდნელობა:

ქიშლო ფეხბურთი

ამას და სხვასაც მეორე-მეექვსე

გვერდებზე წაიკითხავთ



პაპიაშვილი ანდროსი

ბერძნულმა ჩიხრამ დაკითხეს მომავალ უმჯობესად ტოპიოლართან

ბოლო დროს საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეები რალო მინე და ჰინც ტომპიოლი...

ინც ტომპიოლი იცნობს "ამერიკის" თითქმის ყველა თამაშს ესწრებიან...

ვლებზე ვიქციო. მათი სურვილია, რომ კლას ტომპიოლის შევხვედრის...

საქართველოში მოკითხვა ფირიანი ფრა და ფითელი ცხადია

Table with match statistics for various teams including goals, assists, and cards.

ოლინ ნანობაშვილი ბოლნისიდან
თავს ვერ დადებთ, ასე იყო თუ არა, მაგრამ ნამატჩევს ბოლნისელები...

არადა, თამაში იყო, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე უკეთეს მწვრთნელ ინტერებს...

მოღვა: ვიქცია წაქცეული იყო, ბოლნისელმა თემურ რაქვიაშვილმა კი ბურთი აუტში...

იყო. მიკუნაძეს მხოლოდ სარმებით აჩერებდნენ, მაგრამ მასპინძლები სტანდარტული მდგომარეობით...



გურულის ნობათი 17-30 პოლის აფრიკალებს ბათუმშიც გასინჯავენ

ბოლნისის "სიონს" უკვე ხელთ აქვს იმ კამერუნელი ფეხბურთელების სია...

პრემიონფიკანსია

ოთარ გაბელია: ფეხბურთელები გააფრთხილეს, რომ ტრიბუნებიდან დიდი ზეწოლა იქნებოდა...



კრიზისული ვაკეში, ანუ ფრთხილად, იონას!

გაღება კიდევ შევხვდებით

თბილისი. 11 მარტი. 15 საათი. მიხეილ მისხი. 1 000 (ტევადობა 25 600)

ლინამო 2:2 ზესტაფონი

1:0 ბობოხიძე (20), 1:1, 1:2 იონანიძე (36, 43), 2:2 ბობოხიძე (90)	
ბობოხიძემ ვერ გაიტანა პენალტი (60, მეკარე)	
<p>ლინამო: გრიშვიტაშვილი, შაშიაშვილი, ორბელიანი, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიერა (აკობია 46), ლ. ბურდული (ამბროზიო 68), გ. დარასელია, ბობოხიძე, ს. იაშვილი (ჯ. დგაღვი 76) სათადარიგონი: სტურუა; უ. ლობჯანიძე, ლ. მელქაძე, ა. კალაძე მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი</p>	<p>ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ძამსაშვილი, შ. ლონდაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ბენაშვილი, გ. თურმანიძე (ბელაგა 64), განუგრაგა, გ. ჭელიძე (ბ. ნოზაძე 90), ფილია, იონანიძე (ბ. გოციროძე 85) სათადარიგონი: კვასცაძე; იმედაძე, ნუნდი, ხიდუშელი მწვრთნელი: თემურ მახარაძე</p>
გაწვრთნილები: ბურდული (45), განუგრაგა (53), ჩხეტიანი (76)	
გამწვრთნელი: თოდუა (59)	
მსაჯეები: ლ. ფანიასვილი, ზ. ხუციშვილი, გ. ცირდავა, ა. ნონიკაშვილი	
დაგვირგვინები: ს. კვარაცხელია	



პეორა წრაში ზესტაფონის ფორვარდი

კომპილაციური

იონას, იონას — ხმაზე უფრო მეტი შედეგით გააცილეს გუმბან მოედნიდან ზურაბ იონანიძე. ფეხბურთელი, რომელიც „ლინამოს“ „მტრად მოეკიდა“ და თბილისელებთან თამაშს უგოლოდ არ ამთავრებს. აგერ, ითხილეს წინ იყო, თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში ზურაბ იონანიძემ „ლინამო“ ზესტაფონიდან ერთადერთი გოლით რომ გაისტუმრა და ახლა ჩემპიონებს ორი გოლიც თბილისში „მართავს“. ეს ორი მატჩიც რომ არა, იონას „ლინამო“ ვერ კიდევ მშობლიურ „ტორპედოში“ თამაშისას ჰყავს ბევრჯერ გამწარებული და მეტოქე არც „სამტრედიას“ მაისურათი დაუნდია.

ამ მატჩში კი ზურაბ იონანიძემ თბილისელებს ზედიზედ გაუტანა ორი გოლი და შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მოედანიც ტაშის გრიალში დატოვა. ორი გოლი სტუმრად „ლინამოსთან“, იცოცხლეთ, კარგი შედეგია!

თამაშშიც კარგი, დამაბნელებელი და დრამატული გამოდგა, ტურის მთავარი შეხვედრა სხვანაირი არც უნდა ყოფილიყო. „ლინამოს“ თავკაცმა ანდრეი ჩერნიშოვმა პრესკონფერენციაზე თქვა კიდევ, კრიმინალური დეტექტივით ჩახლართული მატჩი ენახეთო...

დასაწყისი „ზესტაფონის“ იყო, სტუმრები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ და ფლანგებიდან, მეტწილად მარჯვნიდან მწვავედ უტევენ. „ლინამო“ ბურთს ვერ იჭერდა, ხოლო „ზესტაფონი“ სწრაფად თამაშობდა. ერთ ეპიზოდში გიორგი ჭელიძეს ჰქონდა კარგი საგოლე შანსი, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა, ცოტა ხანში კი კახა ჩხეტიანის ძალიან სახიფათოდ დარტყმული სოსო გრიშვიტაშვილმა მოიგერია. ამასობაში „ლინამო“ თავის თამაშს ალაგებდა, „ზესტაფონის“ დაცვაში სისუსტეებს ეძებდა, მაგრამ სახიფათო არაფერი გამოსდიოდა; ძველ დინამოელებს ლაღო ბურდულსა და ვიტალი დარასელიას კი ეტყობოდათ, რომ ახალ თანაგუნდელებთან შეთანხმებულები ვერ ვერ არიან.

თუმცა „ლინამო“ მაინც დაწინაურდა და ეს გოლიც შემთხვევითი უფრო იყო, ვიდრე თბილისელთა დამსახურება: ბრაზილიელმა ვიერიამ შუა მოედნიდან ბურთი „ზესტაფონის“ საჯარიმოში ჩაუშვა, მეკარემ და მცველებმა კი ერთმანეთის იმედოდ ბურთი ვედარ მოიშორეს, რითიც მიხეილ ბობოხიძემ ისარგებლა და გუნდი ვერც სეკანსტი თოდუამ გადააჩინა, ვინც თბილისელის დარტყმულს აფარებდა. სამაგიეროდ, თოდუამ „ზესტაფონი“ მოგვიანებით იხსნა, თუმცა მეკარისებური ნახტომი მას მატჩის ნაადრევად დამთავრებად დაუჯდა...

„ლინამო“ კი დაწინაურდა და ვიდრე „ზესტაფონის“ საპასუხო იქნებოდა, ერთი-ორჯერ კიდევ იყო გოლთან ახლოს. იმ თხუთმეტწუთიან მონაკვეთში, როცა ანგარიში თბილისელებს მიჰყავდათ, ვიტალი დარასელიამ ხუთი-ექვსი კუთხური ჩააწოდა და ყველა ისეთი სახიფათო, გოლამდე ბურთს ჭვინტის წაკვრად სჭირდებოდა, თუმცა მაკსიმუმებს მცველები ასწრებდნენ

ხოლმე. ერთხელ ისეც იყო, რომ სტუმრებმა ხელოვნური თამაშგარეს გაკეთება სცადეს, არ გამოვიდათ და ერთბაშად ოთხი დინამოელი გრივოლ ჭანტურიას ცხვირწინ დარჩა, „ლინამომ“ ვერც ამ რეალური მომენტით ისარგებლა.

მერე კი... მერე იონას იყო: იონანიძემ ვერ ვიცი ფიფიას ჩაწოდებულზე იფიჩა და მეკარეს ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა, ხოლო მეორე გოლი მაკრატელატი გაიტანა — ჩხეტიანის საჯარიმოდან ჩაწოდებულს არეულობა რომ მოჰყვა, იონაც მაშინ დატრიალდა — 1:2.

შესვენებაზე ჩერნიშოვმა ვიერიას მარცხენა მცველი ლევან აკობია ამჯობინა, გიორგი ნავალოვსკი ნახევარდაცვას შეაშველა და „ლინამოს“ თამაშში შედარებით უფრო დაწინაურებული და მწვავე გახდა. თუმცა ჭანტურის ბევრი საქმე მაინც არ ჰქონია — მცველები კარვად იდგნენ.

ახლა ერთხელაც ვახსენებ სეკანსტი თოდუა: ზესტაფონელები პოზიტიურად რომ შეცდნენ, პირველი ტაიმის იმ ეპიზოდისა არ იყოს, ჭანტურის ისევე ერთბაშად ოთხი დინამოელი დაემუქრა. საბოლოოდ დასრულდა პოზიტიურად ბურდული კარვით, დაარტყა კიდევ, ცარიელი კარიდან კი ბურთი თოდუამ ხელით გადაავლო. მსაჯმა ლევან ფანიასვილმა ვერ თოდუა გააძევა, მერე პენალტი დანიშნა — ბობოხიძემ დაარტყა, მაგრამ ჭანტურია აჯობა.

მალე ბობოხიძემ, როცა გიორგი შაშიაშვილის გამოზომილი პასი მიიღო, ჭანტურის ერთხელაც ძალიან სახიფათოდ დაურტყა, თუმცა ეს ანგარიშს არ დასტყობია.


ჰოდა, ის იყო, ტრიბუნაზე „ზესტაფონის“ კომპოზიციური მნიშვნელობის საშიშროების მოლოცების აღნიშვნა დაიწყო, როცა ბობოხიძემ მაინც გაიტანა: საჯარიმის კუთხისთან დაწინაურებული ჯარიმიდან წინა ტურში კეთილი გამტარება ამბროზიომ ჩაახვია, ბურთი ზესტაფონელ მცველს თავში მოხვდა, მიმართულა შეიკვალა და შორეულ ძელთან მარტოდ დარჩენილმა ფორვარდმა გამთანბრებელი გაიტანა — 2:2.

პრესკონფერენცია

თემურ მახარაძე: როგორც ვეუქრობდით, ისეთი რთული თამაში გამოვიდა. თავიდან უპირატესობა კი გვქონდა, მაგრამ კურიოზული გოლი მივიღეთ. მეორე გოლიც ბოლო წუთზე გავუშვით, თუმცა მკონია, რომ თამაშგარე იყო...

ანდრეი ჩერნიშოვი: ვერ ჩვენ ვიგებდით, მერე — მეტოქე საბოლოოდ კი მატჩი ფრედ დამთავრდა ასეთი თამაშები მწვრთნელებისთვის კრიმინალური დეტექტივითაა. საკუთარ თავს პრობლემები ისევე თავად შეუქმნით. — როცა პირველი გოლი გავიტანეთ, ფსიქოლოგიური უპირატესობა გვქონდა, მაგრამ მეტოქეზე ზეწოლა ადრე გავკარგებდით.

ანდრეი ჩერნიშოვი: და თემურ მახარაძემ დარბაზი ერთად დატოვეს მალე კიდევ შეხვედრით — ასე დაემშვიდობა „ლინამოს“ მწვრთნელი „ზესტაფონისას“. 18 მარტს ხომ ისევ „ლინამო“ — „ზესტაფონისა“, თასის საპასუხო მეოთხედფინალი კინ გააჩერებს იონას?!



ვიტალი დარასელია (მარცხნივ) და ლადო ბურდული (N8) „ლინამოს“ „ზესტაფონთან“ მატჩში დაუბრუნდნენ





საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურის 18 მატჩი

18 მატჩი



პეტროვიჩისან გრიგოლ დოლიძის უხვეულო საჯარიმო

გადაწყობით აწყობილი

თბილისი. 11 მარტი. 15 საათი. აპერი. 700 (ტევადობა 900)

აპერი 4:1 ლოკომოტივი

1:0 დოლიძე (73), 1:1 კახელიშვილი (42), 2:1 დოლიძე (51), 3:1 ნინამღვრიშვილი (73), 4:1 დოლიძე (81)

აპერი: ლ. ნადირაშვილი, დავითიძე, ზვადაგანი (გ. კვასაძე 76), ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, დოლიძე, დეკანოზიძე, ბოლქვაძე (დ. მჭედლიშვილი 46), კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი (ნინამღვრიშვილი 64), ს. დავითაშვილი (სათადარიგოში რ. ნაჭყეაძე); კედელაშვილი, ბერიანიძე, სილაგაძე
მწვრთნელი: გიორგი ჩხარაძე

ლოკომოტივი: ზ. ჩალაძე, თუთბერიძე, ებრაელიძე, ოგაბიძე, შიხაილიძე, გულორდავა, ფურთუხია (ბარბაქაძე 84), ავალიანი (ჩივაძე 55), პეტროსიანი, მ. ფლენტი, კახელიშვილი (ყიფიანი 74), სათადარიგოში: ლომიძე, მენაბდე, სორგუაშვილი
მწვრთნელი: სოსო ხირაძე

გაზრთხილიძე: თუთბერიძე (6), კაიდარაშვილი (11), პეტროსიანი (36), დობროვოლსკი (53), ზვადაგანი (71)

მსაჯენი: გ. კიკაბიძე, ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი
დაამკვირვებელი: ო. რუხაძე

აპრა მალაშვილი

მოკლედ ასეც შეგვიძლია შევაფასოთ ეს მატჩი. მოგვება მოიგო, წამებმა წაგო. ეგ არის, პირველ ტაიმში აქწენათ ამერელებს ნერვები, როცა გიორგი კახელიშვილმა ანგარიში გაათანაბრა. ეს იყო და ეს. ზოგადად, პირველი ტაიმი უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მასპინძლები თავიდანვე და-

წინაურდნენ — ალექსანდრე კაიდარაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გრიგოლ დოლიძემ ხუსტად შეასრულა — 1:0. მალე ამერელებს მატჩის ბედის გადაწყვეტაც შეეძლოთ, როცა იმავე კაიდარაშვილს „ლოკომოტივის“ საჯარიმოში ბურთი და ცარიელი კარი „შერჩა ხელით“, მაგრამ ბურთის დამუშავებას და მიზნის გასწორებას დიდი დრო დაახარჯა და სტუმრებიც მყის გამოფხიზლდნენ. რო-

გორ არ ეცადა „ამერი“ უპირატესობის მოპოვებას, ხან გრძელ გადაცემებზე ააწყო თამაში, ხან ფლანგებიდან შეტევა სცადა... არ გამოვიდა. „ლოკომოტივი“ ყინად იდგა და ალაგ-ალაგ მწვევე კონტრშეტევებსაც ახერხებდა, რაც ყვეზე მეტად მარცხენაფლანგულ პეტროსიანის დამსახურება იყო. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა გამთანაბრებელი გოლიც: „ლოკომოტივის“ ტანმორჩილმა ჰაბეკმა ჯერ დოლიძე გამოიჭირა შეცდომაზე, მერე ზვადაგანსაც აუარა გვერდი და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც მკარე ლადო ნადირაშვილმა ბურთი ხელეში ვერ შეიმაგრა — კახელიშვილსაც მეტი რაღა უნდოდა — 1:1 ის, რაც „ამერმა“ ვერ მოახერხა პირველ ტაიმში, მეორეში ხუთიანზე გააკეთა — ბურთიც დაიჭირა და მეტოქეც შეაფიწროვა. ამაზე გიორგი ჩხარაძის მიერ გაკეთებულმა შეცვლებმა იმოქმედა: პირველ ნახევარში სამი მცველით მოთამაშე გუნდი მწვრთნელმა გადააწყო, ნახევარმცველ დავით ბოლქვაძის ნაცვლად მცველი დავით მჭედლიშვილი შეიყვანა და სქემა 4-4-2-ად გადააკეთა. ამით კი ხელფეხი განაპირა ნახევარმცველებს, ალექ-

სანდრე კოშკაძეს და გრიგოლ დოლიძეს გაეხსნათ. რა მოიტანა ამან? რა და, კოშკაძის საგოლე პასი და დოლიძის ორი გოლი. 51-ე წუთზე „ლოკომოტივის“ საჯარიმოსგან მოშორებით ჯარიმა დაინიშნა. დოლიძემ შორეულ ძელოთან აჭრა ბურთი და... გოლიო! ულამაზესი გოლი გამოვიდა და რა მნიშვნელობა აქვს, შემთხვევითი იყო თუ არა?! 73-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა რატი წინამძღვრიშვილმა გამოიჩინა თავი და თამაშიც აქ და-

მთავრდა, თუმცა ერთ რამედ ღირდა ამერელთა მეოთხე გოლიც — მატჩის გმირმა გრიგოლ დოლიძემ დაბალი, უზუსტესი დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში შეაჯვარა ბურთი — 4:1. „ამერმა“ მიიგო და სატურნირიცხვით ორი საფეხურიცაა წაიწია. ერთადერთი, რაც გიორგი ჩხარაძის გუნდს ხინჯად დარჩა, ორი ყვითელი ბარათია, ალექსანდრე კაიდარაშვილმა და დენის დობროვოლსკიმ რომ მიიღეს და ამის გამო მომდევნო ტურში „დინამოსთან“ მატჩს გამოტოვებენ.

პრესკონფერენცია

სოსო ხირაძე: უულოცავ „ამერს“ დირსეულ მოგებას. ეს მოულოდნელი არ ყოფილა ჩვენთვის. საერთოდაც, „ამერი“ ერთ-ერთი ყველაზე გამართული, უზრუნველყოფილი და მზარდი გუნდია ჩვენს ჩემპიონატში. ასეთი გუნდები რამდენიმე მაინც რომ გვყავდეს, ქართული ფეხბურთი უკეთეს დღეში იქნებოდა. ...სანამ გაველით, გარკვეული წინააღმდეგობა კი გავუწიეთ მეტოქეს. მაგრამ პირველი ტაიმის მერე „ამერმა“ ამკარად გუჯობა. **გიორგი ჩხარაძე:** პირველი ტაიმით უმკაფიოლო ვარ, მაგრამ მერე თამაში გამოვასწორეთ და შედეგიც მივიღეთ. თამაში სამი მცველით დაიწყო, რაც ამ სეზონში არასოდეს გავიკეთებია. როგორც გამოჩნდა, ამას ალლო იოლად ვერ აუღებთ. და მეორე ტაიმში ისევ გადაწყობა მოგვიხდა. ...მართალია, კაიდარაშვილი და დობროვოლსკი „დინამოსთან“ დაგვაკლდებიან, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. „ამერს“ ჰყავს ამ ფეხბურთელების შემცვლელები.

სხინვალი საგზა, თბილისი მუჩაღზე

მორი. 11 მარტი. 15 საათი. მართლი. 100 მყურებელი

სხინვალი 3:0 თბილისი

1:0 ხანიშვილი (20), 2:0 ჩიტაია (23), 3:0 სულთანაშვილი (79)

სხინვალი: შენგელია, ფერსაყვი (სოხოზაშვილი 72), ლომიძე, ქარქუაშვილი, ევლოშვილი, მ. თავაძე (მინარაშვილი 80), ხაჭაპურიძე, მ. ჩიტაია, დათვაძე, სულთანაშვილი, კ. ხანიშვილი (ნოზაძე 69), სათადარიგოში: ქესანაშვილი, გ. მაისურაძე, ზ. დვალა, ვ. თავაძე
მწვრთნელი: ივანე თავაძე

თბილისი: მ. ალავერდი, ცნობილაძე (6. კვასაძე 46), მიმინოშვილი, ლ. კვარაცხელია, ბერიძე, ბოჭორიძე (მ. ბარაბაძე 35), ქორიძე, ვ. კვარაცხელია, მიქიაშვილი, გ. დარასელია (სოხოზაშვილი 70), რევაზ ბარაბაძე (სათადარიგოში: თევდორაძე, ჩაგელიშვილი, იაშვილი, მაისურაძე)
მწვრთნელი: გიორგი დევედარიანი

გაზრთხილიძე: ცნობილაძე (10), ბოჭორიძე (10), მიმინოშვილი (53), ხაჭაპურიძე (53), ევლოშვილი (73)

მსაჯენი: მ. დოგრაშვილი, გ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, გ. ვადაჭკორია
დაამკვირვებელი: ა. დურსუნაძე

ტარიელ მთინიაშვილი გორიდან

თელავში განცდილი მარცხის შემდეგ „ცხინვალს“ უშუალო კონკურენტთან საშინაო მატჩში გამარჯვება აუცილებლად სჭირდებოდა. ამიტომ იყო, აქტიურად, შეტევით რომ დაიწყო თამაში და უპირატესობასაც მალევე დაეუფლა, თუმცა პირველი სახიფათო მომენტი მათ კართან შეიქმნა: მე-4 წუთზე ვახტანგ კვარაცხელია მცველებს დაუსხლტა და საჯარიმოში შესულმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ გიზო შენგელია ადვილზე დახვდა ბურთს. მასპინძლები განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან უტევენ, სადაც მიხეილ თავაძე მოსვენებას არ

აძლევდა მცველებს და მისი გარღვევების წყალობით მუდმივად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. „ცხინვალის“ შეტევები კი მე-20 წუთზე გოლით დაგვირგვინდა: მცველების შეცდომა კარგად გამოიყენა საბა სულთანაშვილმა, პირისპირ გავიდა მიხეილ ალავერდისთან, მაგრამ მკარემ აჯობა — ბურთი მიხეილ თავაძეს მიუვიდა, მანაც კობა ხანიშვილს გადააწოდა და — 1:0. სამიოდ წუთში ანგარიში სხვაობა გაიზარდა. საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან სტუმრები დაჯარიმდნენ და ჩიტაიამაც მეორედ შეარხია „თბილისის“ კარის ბადე — 2:0. ტაიმის ბოლოს მასპინძელთა იერიშები განელდა და „თბილისმაც“

აიშვა, მაგრამ „ცხინვალის“ მკარე უშეცდომოდ თამაშობდა. დელაქალაქელთა შორის ვინაყოფიერებით მიმინოშვილი გამოირჩეოდა, რომელიც, უბრალოდ, ვალდებულები იყო, რამდენჯერმე გაეტანა, მაგრამ ძალიან არახუსტად ასრულებდა ბოლო დარტყმებს. 65-ე წუთზე გოლი „ცხინვალის“ კარში თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მიმინოშვილის ახლოდან დარტყმულიც ასცდა კარს. 79-ე წუთზე კი მოედნის შუაგულში მასპინძლებმა მრავალხვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და თავადის ჩაწოდებულ ბურთის სულთანაშვილმა თავით მარჯვენა დაბალ კუთხეში მიუჩინა ადვილი — 3:0.



პირველი არგენტინული ნაკვანარში

ბორჯომი. 11 მარტი. 15 საათი. ჯამალ ზინკაძის ვიდეო. 700 (ტელეფონი 5 000)

ბორჯომი 3:0 სოსხვი

1:0 დე პორასი (22), 2:0 აფციაური (31), 3:0 ჯიქია (90)

გორაკში ვერ გაიტანა პენალტი (83, მეკარე)

ბორჯომი: მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, ლ. მერეზაშვილი, ბაქრაძე, მესხი, გ. ჩხეტიანი, გაბისკირია (გ. გორაკში 71), აფციაური (შ. ჯიქია 83), გენაძე (სანიკიძე 11), დე პორასი (სათადარიგონი: მამარდაშვილი; ჯანგიძე, საჯაია)

სოსხვი: ა. ლაბაძე, აბშიძე, ფანია, მლოდინი, ა. ნოზაძე, დონდოლაძე (კახელაშვილი 65), გაგუა, გადელია (მამფორია 90), მორჩილაძე, სისარულიძე (გიორგი ჯიქია 89), სათადარიგონი: ჯინჭარაძე; ჯერენაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მწვრთნელი: გონა ჟორჯოლიანი

გაწვრთნელი: მერეზაშვილი (66)

მსაჯეები: თ. ხეცაძე, ა. გუნთაძე, ს. სპიციანი, მ. მაისურაძე

დაგვირგვინები: თ. ლორთქიფანიძე



ბორჯომელმა გონსალო დე პორასმა ქართული გოლი დააგეგმინა

ფოტო: კატილიაშვილი

დავით თაყაიშვილი ბორჯომიდან

მზინა დარი, ათასამდე ქომაგი და ხელოვნური საფარი — ასეთი დახვედრა მოუწყვეს ბორჯომელებმა სოსხვილებს და სამი ქულაც დაატოვებინეს.

მასპინძლებმა ჯიქურ შეუტყეს და სანამ პირველ გოლს გაიტანდნენ, რამდენიმე საგოლე შანსი გაანთავსეს. თორნიკე აფციაურმა ოციოდე მეტრიდან ვერ გაისწორა მიზანი; სანდრო ბურნაძემ თავურით მაინცდამაინც სტუმართა მეკარე ავთანდილ ლაბაძის ხელს დაუმიხნა; არგენტინელი გონსალო დე პორასი ძალიან ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ ლაბაძემ იმარჯვა; მალე ამ უცხოელმა მცველთან

ბრძოლაში ახლოდან ვერ გადაგზავნა კარში ბურთი.

და ნანატრი გოლიც: დავით ბაქრაძემ მარცხნიდან ჩააწოდა, დე პორასმა კარიდან გამოსულ ლაბაძეს აჯობა, მასზე მადლა ახტა და ბურთიც მეკარისგან მიტოვებულ კარში აღმოჩნდა — ასე გავიდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში პირველი არგენტინული გოლი.

„სოსხვი“ საკადრისი პასუხის გამცემი არ ჩანდა, რაღაცას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა — შეიძლება ითქვას, პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი გუნდი, „ბორჯომი“ უტყვედა.

დე პორასი პირველ ტაიმში ყველაზე გაბრუნებული იყო, აგრესიულად მოქმედებდა

და გონებაც უჭრიდა. სწორედ მის გარჯას მოჰყვა ბორჯომელთა მეორე გოლი — არგენტინელმა ერთი მეტოქე ჩამოიცილა, გაწე დაუგორა აფციაურს, რომელმაც ახლოდან ცაციათი იხეირა — 2:0.

ბორჯომელთა ბატონობა გრძელდებოდა, თუმც პირველი ტაიმი მესამე გოლით ვერ დაამთავრა: კაბიტანმა იური გაბისკირიამ გასატანი ვერ გაიტანა — ახლოდან ძელს გაარტყა ბურთი.

შესვენების შემდეგ „სოსხვი“ ბენავად აღარ გამოიყურებოდა, შეტევაშიც უფრო აქტიური ჩანდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო გოლის გასატანად. „ბორჯომის“ თამაში კი გაუარესდა და მთლიანად მატჩიც ძალიან უინტერესო გახდა — სახიფათო მომენტები

აღარც აქედ იქმნებოდა და აღარც იქით. ასე გრძელდებოდა 75-ე წუთამდე, როცა გონსალო დე პორასი სრულყოფილი საჯარიმოში ციბრუტით დატრიალდა და ცაციათი ოდნავ ააცილა ლაბაძის კარის შორეულ კუთხეს.

აქედან რვა წუთში ბორჯომელებს უპიტარესობის გაზრდის დიდებული შანსი მიეცათ, მაგრამ გივი ჩხეტიანის მიერ მოპოვებული 11-მეტრიანი შეცვლაზე შესულმა ვლადიმერ გონსალომ გოლად ვერ აქცია — ლაბაძემ კუთხე გამოიცილა.

შეხვედრის ბოლო წუთზე კი გონსალომ გაცულებული პენალტი საგოლე გადაცემით გამოისყიდა — შოთა ჯიქია მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და 3:0.

კახელაშვილი ვებერინარობა ვერ გაქარა

მცხეთა. 11 მარტი. 15 საათი. ბრმაზი. 200 (ტელეფონი 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:0 კახეთი

1:0 დიღმელაშვილი (14)

ვიტ ჯორჯია: ბედიასვილი, გველესიანი, ა. კახაძე, თ. კობიაშვილი, კ. დათუნაშვილი, იმედაშვილი, გ. დათუნაშვილი (დ. ლომია, 90), დიღმელაშვილი, ფიქორიშვილი (ლ. რაზმაძე 73), გელაშვილი, ზ. სახოკია (ბერიაშვილი, 59), სათადარიგონი: მიქაბერიძე, ჯანაშვილი, კვადინაძე, ებანიძე

კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, კობიაძე, მალაქაძე, ბედიძე, როსტიაშვილი, გიორგობიანი, კველიშვილი (ტეტიაშვილი, 88), ნ. დავითაშვილი (კუბრაშვილი, 63), სოსელია, არუდაშვილი, სათადარიგონი: ოთარაშვილი, ა. კვიციანი, ბიძინაშვილი, მურველაშვილი, ძამუკაშვილი


მწვრთნელი: ნესტორ მუშლაძე

მწვრთნელი: ჯამალ მახარაშვილი

გაწვრთნელი: კობიაძე (23), დათუნაშვილი (42), რაზმაძე (77), კუბრაშვილი (88)

მსაჯეები: დ. ხარტიანიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ასკაროლი, ლ. კვარაცხელია

დაგვირგვინები: ს. კუტივაძე



გიტელეშვილი გიორგი დათუნაშვილის მიერ მოპოვებული პენალტით იხეირეს

ბორჯომი ნოზაძე მცხეთიდან

ბათიაშვილის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ“ მორიგი სამი ქულა მიითვალა, ისარგებლა მდევართა წაფორნილებით და მათთან ჰანდიკაპი ორი ქულით გაზარდა. ვებერინართა მესვეურები მალევე ინტერესდებოდნენ პარალელურად მიმდინარე შეხვედრების ანგარიშებით. როგორც ჩანს, „არმაზზე“ შეკრებილი მცირერიცხოვანი ქომაგობის დარად, საკუთარი გუნდის გამარჯვება არც მათ ატყვევებდათ. მოიგო იმან, ვისაც ლოგიკურად უნდა მოეგო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამას „ვიტ ჯორჯიამ“ ნერვების ან ჯანის დაზოგვით მიაღწია.

მასპინძლები 4-3-3 სქემით თამაშობდნენ. ნახევარდაცვის ცენტრში დავით დიღმელაშვილს კვერდში გიორგი დათუნაშვილი და დავით იმედაშვილი ედგნენ. სამივე ჩინებულად გაისარჯა და ფორვარდებს რომ ევარგათ, ეგებ მატჩის ბოლოსკენ აღარც ჰქონოდათ საწერეულო. არადა, გიორგი ცინაძის კართან მომენტები საკმაოდ შეიქმნა.

უკვე მეოთხე წუთზე დიღმელა-

შვილის შესრულებულ ჯარიმას თავი თენგიზ კობიაშვილმა შეაგება და „კახეთის“ კარი გოლისგან ძელთან ჩასაფრებულმა მცველმა იხსნა. ანგარიში კი ათი წუთის შემდეგ მაინც გაიხსნა. იმედაშვილმა მარცხენა ფლანგზე ჩაიქროლა და ზედ პირითი ხაზიდან საჯარიმოსკენ შემოატრიალა ბურთი. ცინაძემ ნახტომში შეძლო მისი დაუფლება, მაგრამ ბოლო წამს ხელიდან გაუვარდა, ყველაზე ახლოს კი გიორგი დათუნაშვილი აღმოჩნდა... კახელებს დიდად არც გაუპროტესტებიათ პენალტი, დათუნაშვილი აშკარად წააქციეს, საფეხბურთო სასჯელი კი გოლად დიღმელაშვილმა აქცია.

ტაიმის ბოლომდე მასპინძლებს კიდევ ორჯერ მართებდათ გატანა. პირველ შემთხვევაში ოდნავ მახვილი კუთხიდან პირისპირ გასული ზაზა სახოკიას დარტყმა ცინაძემ უკუაგდო, მერე კი ნაკუთხურალზე ნიკა გელაშვილის თავურმა რამდენიმე სანტიმეტრში ჩაუქროლა ძელს. გელაშვილმა სამიხე ოდნავ კი გაისწორა, მაგრამ გასატანად არც ეს აღმოჩნდა საკმარისი — მეორე ტაიმის დებიუტში მის დარტყმულ

ბურთს უკვე ძელი გადაეღობა. უნდა გაეტანა გიორგი ფიქორიშვილსაც; საჯარიმოდან გამოსული ცინაძის მიერ უხერხულად მოგერიებული ბურთი 22-23 მეტრიდან ცარიელ კარს გადააცია.

საფინალო სასტვენამდე გოლი მაინც გავიდა. შეცვლაზე შესულმა ბერიაშვილმა ახლო მანძილიდან გაიტანა, თუმცა მანამდე ალექსანდრე კახაძეს მკერდის მაგიერ ხელით გაეჩერებინა ბურთი და დავით ხარტიანიშვილმა ანგარიში უცვლელი დატოვა.

არსად გვიხსენებია „კახეთის“ შეტევა, არადა, ჯემალ მახარაშვილის შეგირდებს თავი არ დაუხოვათ, თუმცა მათი ძალისხმევა ორ საჯარიმოს შორის ბრძოლაზე მეტს ვერ გასწვდა და სტუმრები რეალურად ერთხელაც ვერ დაემუქრნენ გრივოლ ბედიასვილის კარს. მახარაშვილმა ერთი კი შეუძახა გუნდს, ისე ითამაშეთ, როგორც კვინი თამაშობენ და მორჩაო, მაგრამ ეს მხოლოდ სათქმელადაა ადვილი. დღევანდელი „კახეთი“ დღევანდელი „ვიტ ჯორჯიასავით“ ვერ ითამაშებს — ჯერჯერობით აშკარად სხვადასხვა რანგია.



საქართველოს XVII ჩემპიონატი

აიორა წრა 18 ტურში

შახმატო ლიგა

ასტდენილი იმედები

მუთისი. 11 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 2 000 (ტყვადობა 20 000)

ტორპედო 0:0 დილა

ტორპედო: მიგინიშვილი, ა. კვერნაძე, ლაღაძე, ხურცილაძე, ზ. ჩხეიანი, რ. კვერნაძე, მდივნიშვილი, მ. ღონღაძე, რატი ბარაბაძე კობახიძე 46), სულაბერიძე (კავთულაძე 68) სათადარიგო: უშვერიძე, გორგოძე, ფესტაშვილი, დათიაშვილი, ხეცურაძე

დილა: გეგეშიძე, გვარუცია, ლავრიაშვილი, გალოგრაძე, ვაჩიშვილი, ოლეგაშვილი (მსურაშვილი 54), შატაკიშვილი, კურტანიძე (დ. ნადირაძე 45), ტლაშაძე, ჯოსაძე (ტორნიშვილი 21), ფირანიშვილი სათადარიგო: ილურიძე, დ. თურმანიძე, ბოკუჩავა, მისურაძე

მწვერვალი: იური კვერნაძე

მწვერვალი: ლავრიაშვილი ბოლოთაშვილი

გაგრძელება: ოლეგაშვილი (26), ფირანიშვილი (65), კობახიძე (68), ტლაშაძე (84)

მსაჯეები: დ. სანაია, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე, ჯ. ბუიშვილი

დაამკვირვებელი: ი. ლორთქიფანიძე; **ფილმები:** გ. კეტაშვილი



ტორპედოელ მამუკა ღონღაძეს გორგოძე ფეხზე აჯდენ

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

თბილისის „ლოკომოტივის“ სტუმრად დამარცხების შემდეგ გულშემატკივარს იმედი ჰქონდა, რომ „ტორპედო“ გორის „დილას“ შინ ადვილად მოუგებდა, მით უმეტეს, გუნდში ისეთი გამოცდილი სპეციალისტი მივიდა, როგორც რევაზ ძიძუაშვილი — იგი თამაშს სამთავრობო ლოჟიდან ადევნებდა თვალს.

მაგრამ გორელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ქუთათურთა უპირატესობისა, ამოცანას თავი კარგად გაართვეს და ქულასაც გამოიჩინეს.

პირველი სახიფათო მომენტი „ტორპედოში“ მე-20 წუთზე შექმნა — რევაზ კვერნაძემ ახლო მანძილიდან ბურთი კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა. ზუსტად სამ წუთში კი მამუკა ღონღაძეს შეეძლო გატანა, თუმცა მცველმა დაუფარა. მალე ლევან მდივნიშვილი აღ-

ოჩნდა მსგავს სიტუაციაში, მაგრამ არც მას აცალეს მცველებმა კარში დარტყმა.

ტაიმის ბოლოს „ტორპედოს“ უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა — ავთანდილ ფოფხაძემ მარცხენა ფრთიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, იქ კი ეულად დარჩენილმა ღონღაძემ ვერ ივარგა, მისი თავური მცირედით ასცდა კახა გეგეშიძის კარს.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა — „ტორპედო“ უტყვევდა, ქართლები კი თავს მთელი ძალით იცავდნენ. სტუმრები ქუთათურ ფორვარდებს მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და ამიტომ იყო, „ტორპედოს“ შეტევებს სიმწვავე რომ აკლდა.

ყველაზე რეალური საგოლე მომენტი კი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეიქმნა — დავით ხურცილაძეს დარტყმული „დილას“ მკარემ სასწაულებრივად მოიგვრია, დამატებზე კი ფოფხაძემ კარს ააცილა.

პრესკონფერენცია

ლავრიაშვილი ბოლოთაშვილი: პირველ რიგში, მინდა, ბატონ რეზოს მიულოცო ქუთაისში დაბრუნება, იმედი მაქვს, მისი მუშაობა „ტორპედოში“ ნაყოფიერი იქნება.

რაც შეეხება თამაშს, ჩვენი გუნდი პირველი წრის შემდეგ თოთხმეტმა მოთამაშემ დატოვა და ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდით. ბოლოს ბატონი მიხეილ ქარელის ძალისხმევით გამოინახა სახსრები და გუნდის ფინანსური მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა.

იური კვერნაძე: გორის „დილა“ ჩვენი უშუალო კონკურენტი და მასთან სამი ქულის მოპოვება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა... ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ კარგი მომენტები გავატანეთ კარს. იმედია, თამაშს უახლოეს მომავალში გავაუმჯობესებთ.

რევაზ ძიძუაშვილი, „ტორპედოს“ კონსულტანტი: გუნდის პრეზიდენტის ინიციატივით შეეკმინით მწვრთნელთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეც მე ვახლავარ. მთავარი მწვრთნელის სტატუსს დიდად არ ვაქვე ყურადღებას, ჩვენ ყველანი შეთანხმებულად ვმუშაობთ. ასეთი მოდელი ევროპის ბევრ ქვეყანაშია მიღებული და წარმატებულიცაა.

ვიტ ჯორჯია	18	14	3	1	38:10:45
სიონი	18	13	3	2	36:14:42
დინამო	18	12	3	3	31:11:39
ამერი	18	11	2	5	24:12:35
ბორჯომი	18	11	1	6	32:16:34
ზესტაფონი	18	10	4	4	23:14:34
ლოკომოტივი	18	10	3	5	29:17:33
ბათუმი	18	8	5	5	21:14:29
კოლხეთი	18	7	3	8	16:20:24
კახეთი	18	6	1	11	18:27:19
ცხინვალი	18	5	3	10	17:33:18
დილა	18	5	2	11	21:27:17
ტორპედო	18	4	5	9	14:24:17
სოხუმი	18	3	1	14	17:44:10
სპარტაკი	18	2	3	13	4:33:9
თბილისი	18	1	2	15	11:36:5

ძიუდოზა მაინს ვილაპარაკოთ

ბიორბი ვაზაიძე

...**ზუსტად** შუადღის 3 საათზე მსაჯმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა ჩასტინა და...

— ზაზა, შენ აქ რა გინდა? — გაკვირვებულმა ვკითხე საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების წევრ ზაზა კედელაშვილს...

„...შეკარდნე“ შეკრებილ ასიოდ ქომავს შორის ისეთებიც იყვნენ, საერთოდ რომ არ იცოდნენ, მოედანზე რა გუნდები თამაშობდნენ. ფოთლებს ზურგზე „კოლხეთი-1913“ რომ არ წერებოდათ, ალბათ, ვერც მატჩის ბოლომდე მიხვდებოდნენ. მიზეზი? დიქტორს თამაშის დაწყებამდე შემადგენლობების გამოცხადება არ გახსენებია...

— „სპარტაკის“ განაცხადში ჩხაიძე თუა? ჩემი მეგობარია — მეუბნება კედელაშვილი და მისი „შეკარდნე“ ყოფნის მიზეზიც გაიკვია.

— საერთოდ არაა...

— ტყუილად მოვსულვარ. „ამერიის“ თამაშზე მაინც წავესულიყავი, ამირან კედელაშვილს ვუქომაგებდი.

— გეტყობა, ფეხბურთი გიყვარს...

— რა თქმა უნდა, მაგრამ ფეხბურთელებზე მეტად მორაგებებს ვაფასებ, ძალიან მაგარი ბიჭები არიან.

...და ამ დროს ვილაცას მობილურზე დაურეკეს და რაგბის ანგარიში შეატყობინეს, მანაც გახარებულმა ყველას გასაგონად თქვა, ჩვენები პორტუგალიას ანგრევნო.

— აი, კაცები ისინი არიან, თამაშში ყველაფერს დებენ. საერთოდ, როცა ნაკრების წევრი ხარ, ვინდ რაგბი იყოს, ვინდ ფეხბურთი, ვინდ ძიუდო, უნდა გეამაყებოდეს და ბოლომდე უნდა დაინარჯო. აგერ, ახლა ამათ თამაშს რომ ვუყურებ, არც ერთი არაა ნაკრების ღირსი...

...ზაზასთან საუბარმა, ცხადია, არც ჩემი საქმე დამავიწყა, მაგრამ გამოვიტყდებით, საქმე, ფაქტობრ-

თბილისი. 11 მარტი. 15 საათი. შპარტაკი. 100 (ტყვადობა 1 000)

სპარტაკი 0:0 კოლხეთი

სპარტაკი: ნაფეტარიძე, ელიზბარაშვილი (კობახიძე 19), თ. მჭედლიშვილი, ტაბიძე ტაბუაძე, მოდებაძე (ჩანტლაძე 46), ხუბუა, ჯიბლაძე (დ. მაღალაფერიძე 65), მალიჩაძე, მისაშვილი, ურუშაძე სათადარიგო: ლაძაძე; თოფურია, გაგნიძე, რატი

კოლხეთი: ლატარია, გ. კილაშონია, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ვართაგავა, მარგალიტაძე, დ. ნარსია, ქობულაძე (ნიქარიშვილი 78), კრასოვსკი, ზ. ჯანაშია, ზ. ქუთათელაძე სათადარიგო: მიქაძე; ყურაშვილი, ლოლუა, ნაბრია

მწვერვალი: ჯუმბერ აბაშიძე

მწვერვალი: სოსო ფილია

გაგრძელება: მჭედლიშვილი (45), მარგალიტაძე (56), ფარულავა (84)

მსაჯეები: ა. კრიჭაშვილი, დ. კურტანიძე, მ. ქუბილაძე, მ. ბუქელიშვილი

დაამკვირვებელი: დ. მენუშაშვილი

ივად, არც მქონია, დუნე, მონოტონურ თამაშში საინტერესო ვერაფერი ჩავინახე. უპირატესობა სტუმრებისა იყო, მაგრამ ახალგაზრდა თბილისელებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს, თავიდანვე შეუპოვრად იბრძოლეს ქულისთვის და საწაფელსაც მიაღწიეს.

სოსო ფილიას გუნდი ამხელა გზაზე ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან დაგეგმილი სამი ქულისთვის კი ჩამოვიდა, მაგრამ მხოლოდ ფარულავას და ქუთათელაძის მეტ-ნაკლებად სახიფათო თავურებს და ჯონი შალამბერიძის საჯარიმოებს გამორჩა, რომელთა მოგერიებებაც მასპინძელთა მკარე ნაფეტარიძეს არ გასჭირვებია.

საქართველოს 17 ჩემპიონატი

XX ტური

12 მარტი, კვირა

გურია 1:0 ზუგდიდი
ამერი 2 0:0 მესხეთი
ჩიხურა 3:1 მემსახტე
მალაროელი 3:0 ლიახვი
მერანი 3:2 საგარეჯო
გაგრა 0:0 თბილისი 2
იმედი 0:3 ზესტაფონი 2
რუსთავი 0:2 დინამო 2

ვიტ ჯორჯია 2 3:0 მემსახტე

ჩიხურა 21 16 3 2 61:22 51
მერანი 21 14 3 4 33:15 45
გაგრა 21 12 6 3 28:14 42
დინამო 2 21 12 5 4 36:12 41
ამერი 2 21 11 5 5 28:14 38
მემსახტე 21 10 3 8 30:22 33
გურია 21 9 4 8 31:25 31
რუსთავი 21 8 7 6 30:24 31
მესხეთი 20 8 5 7 24:22 29
ვიტ ჯორჯია 2 21 7 5 9 19:22 26
ზუგდიდი 21 7 5 9 12:19 26
მემსახტე 20 6 7 7 20:17 25
საგარეჯო 21 6 4 11 21:27 22
თბილისი 2 21 6 3 12 18:34 21
სოსო ფილია 2 21 5 6 10 20:31 21
იმედი 21 5 1 17 14:42 16
მალაროელი 21 4 4 13 18:44 16
ლიახვი 21 4 0 15 16:55 12

თასის ძირი მწარე არის...

მარხვაშიღმა აზიამუნე ჯერ ააუნა და მერე დააქცია

ზოგისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ დაჯარიმდა „სორიკა“, სირენამდე მხოლოდ 9 წამი რჩებოდა და მისი გუნდი 2 ქულას იგებდა. მოგვიანებით, ოვერტიმის დაწყებამდე, ორმოცამდე მწვრთნელს უხსნიდა, თუ რატომ აიღო ჯარიმა და ლევან მოსევილიც არ შეწინააღმდეგებია. თსუ-ს კონტრშეტევას ან ბეჟანიშვილის ორქულიანნი, ანაც მასზე მოგვიანებით დაჯარიმება მოჰყვებოდა, ორმოცამდე კი „ავიამშენი“ 9 წამი დაუტოვა შეტევისთვის, თანაც საჯარიმოებსაც ხომ ჩაგდება უნდოდა.

ბეჟანიშვილმა ფოლადის ნერვები გამოაჩინა, ვითომც არაფერი, ისე ჩააცურა ორივე ბურთი კალათში და ანგარიში გაათანაბრა — 67:67. მაგრამ 9 წამი? ირაკლი ხოშტარიას შეეძლო, „ავიამშენისთვის“ თასი ჩაეხუტებინა. მან 9 წამში მთელი მოედანი გადასერა, 3-4 მეტოქე ჩამოიშორა, მაგრამ ფარქვეშ შეჭრილმა ბურთი ვეღარ ჩააგდო: მოკლედ, ოვერტიმი...

ეს უკვე თსუ-ს გამარჯვება გახლდათ — 18 ქულით ჩამორჩენილმა გუნდმა თამაში შემოატრიალა და ძირითადი 40 წუთი ისე ვაღია, არ წაუგია. ისე, საინტერესოა, როგორ მოახერხა „ავიამშენმა“ ამხელა უპირატესობის მოპოვება და მერე მისი განთავება. ოვერტიმამდე ჯერ ეს მოვყვით.


თამაში თსუ-მ უკეთ დაიწყო: ირაკლი ბერიშვილსა და ბესიკ ლეჟა-

ვას ორქულიანებით სტუდენტები 6:0 გალიდრდნენ. სტუდენტებმა მეტოქე სისწრაფეში დაჯახნეს და რაკი „ავიამშენი“ ფარზე ვერ გამაგრდა, ნიკორელებმა უპირატესობა იოლად მიპოვეს.

ლევან მოსევილმა, რომ სჩვევია, ისეთი „ცენტრისტული“ ტაქტიკით როდი დაიწყო თამაში. ტანმალთაგან მხოლოდ თორნიკე ნინაშვილი გაამწესა ხუთეულში, დანარჩენები, ორ მეტრზე დაბალი ვიორგი მარკიშვილის გარდა, უკანახულები იყვნენ. ეს გასაგებიც იყო: „ავიამშენი“ თსუ-ს თავისივე იარაღით შეებრძოლა და მეტოქეს ფარზე დაჯახნის მაგივრად თავიდან დაბლებით შეუტია.

„ფეხმარდობანა“ თავიდან თსუ-მ მოიგო, მაგრამ როცა კოტე ტულუშმა, ბუბა ბერიშვილმა და ირაკლი ხოშტარიამ სტუდენტებს ფეხი აუწვევეს, მოსევილმა თამაშში წოწოლა პლასიდე როდუშა ჩართო და „ავიამშენი“ ორივე ფრონტზე გამაგრდა. როდუშა ფარს დაეპატრონა, დაბლებმა კი ტოლი არ დაუდეს თსუ-ელ ოპონენტებს და ანგარიშიც აღრიცხვაც უკულმა დატრიალდა. 0:6-ის შემდეგ „ავიამშენი“ 15:8 გალიდრდა და კოტე ტულუშის ჩაუქობის წყალობით საწყისი მეოთხედი 2 ქულით მოიგო.

მეორე ათწუთეულშიც არაფერი შეცვლილა: „ავიამშენი“ ფარქვეშეშიც ბატონობდა და პერიმეტრიდა-



ბესიკ ლეჟავამ ეს თასი ალაღად დაიმსახურა

მურაზ დოღანაშვილის ფოტო

ნაც ჩუბინობდა. როდუშას ნაცვლად მოედანზე შემოსულმა ვახტანგ მინაშვილმა საქმე არ გააფუჭა, ტულუშმა კი სამქულიანები მოინადირა და მეორე მეოთხედის შუაწეულში უდიდესი სხვაობაც დაფიქსირდა — 36:18 ავიატორთა სასარგებლოდ.

სტუდენტებმა დაცვა გაამაგრეს, ავიატორთა შეტევებს ბარაქა დაუკარგეს, მაგრამ მეტოქის სამწამიანი მაინც ვერ გაიბილიკეს და შორიდან ლამობდნენ ქულების ხვეჭას. ათზე მეტი გაცუდებული სამიანი შემდეგ ბესიკ ლეჟავამ, როგორც იქნა, ჩააგდო შორიდან და თსუ-მაც ტაიმის ბოლოს შეება იგრძნო — 31:41.

მეორე ტაიმი ხოშტარიასა და ტულუშის სამქულიანებით დაიწყო, „ავიამშენი“ კი 16 ქულით გალიდრდა. მოსევილის სამწყსო მოეშვა, ვინძლო, უპირატესობის შენარჩუნებაზე იწყო ფიქრი და მეტოქის ორი სამიანიც გამოეპარა. ამასობაში ბეჟანიშვილს ფარქვეშ მეტი თავისუფლება უბოძა თსუ-ს თავკაცმა დავით უსტიამშვილმა და ამან, ავიატორთა გასაკვირად, შედეგი გამოიღო.

ბეჟანიშვილმა მეტოქის კამერუნელი ცენტრი ამოკეტა — რამდენჯერმე ბურთი დააკარგვინა და სტუდენტებმაც კონტრშეტევებით სხვაობა — 41:50.

ეს იყო და, ბეჟანიშვილის ნაცვლად მოედანზე რევაზ დიდა გამოჩნდა, რომელიც დაახლოებით 2 მეტრია და თსუ-ში იმ მომენტში ის იყო ყველაზე მაღალი. ანუ თსუ-მ მოლიანად სისწრაფეზე გააკეთა აქცენტი. ვიორგი მარხვაშვილმა საკუთარ თავზე აიღო თამაში და გარღვევებით ისეთ ბურთებს აგდებდა, ურთულესი რომ ეთქმის.

„მარხვას“ შემჩრებელი 208-სანტიმეტრიანი როდუშაც ვერ გამოდგა. ამ წოწოლა კამერუნელს ხელეხსევით პარაშუტით ევლებოდა ბურთები და „ავიამშენის“ კალათში ცვიოდა. თსუ-მ შეება იგრძნო და გადაამწყვებტი მეოთხედის წინ 7 ქულასდა აგებდა.

ავიატორები ისე დაიბნენ, მეოთხე ათწუთეულში სულ გაანთავეს უპირატესობა. სტუდენტურმა დაცვამ იმდენი ქნა, რომ 4 წუთი საკუთარი ფარი მშრალად შეინახა,

მეტოქეს კი 8 ქულა ჩაუვლო და მოსახდენიც მოხდა: სირენამდე 3 წუთით აღრე მარხვაშვილმა ანგარიში გაათანაბრა — 61:61.

ძირითადი დროის დრამატული ენდშმილი თავში აღვწერეთ, ახლა კი ოვერტიმზეც ვთქვათ. თსუ-ს კი ბეჟანიშვილმა თსუ ძირითად დროში გადაარჩინა, დამატებითის გმირი 19 წლის ბესიკ ლეჟავაა. ბესიკ ოვერტიმის პირველ 3 წუთში 8 ქულა მიითვალა, თუმც არც ავიატორები ჩამორჩებოდნენ და ბოლო წუთისთვის კვლავ ფრე იყო.

უკანასკნელ წუთზე თსუ-ს მეტად გაუმართლა, თუმც საკანძო ეპიზოდში კვლავ ლეჟავამ იფიქრა. 2 ქულით ჩამორჩენილი „ავიამშენი“ თსუ-ს გასათანაბრებლად რომ მიეწვია, ლეჟავამ ტულუშში ფარქვეშ არ შეუშვა და გარბენი გააკეთებინა. ორმხრივი შეცდომების შემდეგ ტულუშს მაინც მიეცა შანსი, თუმც სამქულიანი გაუცუდდა და მარხვაშვილმა სირენამდე 13 წამით აღრე ტყუპი საჯარიმოებით სტუდენტებს 4-ქულიანი ლიდერობა, ანუ გამარჯვება დაუბეჭა.

ირაკლი პერტაბა



10 მარტი
ორლანდო 102:73 **კლივლენდი**
მინიაპოლი 106:111 **ფორტაუნდ** **სტაიტი**
ნიუ ორლანდი 90:92 **ინდიანა**
სან ანტონიო 92:100 **ლიუიზიანა**
სინატრი 107:96 **მინესოტა**
საკრამენტო 105:93 **მემფისი**
ჩიკაგო 96:107 **კლიპერსი**
აოსტონი 86:92 **მილუოკი**
ტორონტო 97:108 **დავნირი**

11 მარტი
ატლანტა 90:95 **ჩიკაგო**
ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (22), სმიტი (11 ქულა, 10 მოხსნა), პარინეტონი (32 ქულა, 10 მოხსნა), ფარულია (30 წუთი, 11 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი); სტუდენტები (8), უილიამსი (4), სმიტი, ბატისტა
ფინიქსი 110:102 **მინესოტა**
ფინიქსი: ნემი (31 ქულა, 11 პასი)
ცენტინი **სათადარიგო იყო**
ორლანდო 103:92 **ბ. სტაიტი**
მილუოკი 98:106 **კლიპერსი**
იუტა 87:90 **დალასი**
ვაშინგტონი 110:92 **დატროიტი**
შარლოტი 116:109 **ნიუ იორკი**



„თსუ-ნიკორა“ პირველ დიდ გამარჯვებას ზეიმობს

მურაზ დოღანაშვილის ფოტო

11 მარტი. ვერის ბალი
ნახევარფინალი
ავიატორი 83:58 **აზოტი**
 25:18 17:19 17:9 24:12
ავიატორი: ტულუში (13), ხოშტარია (11), ბ. ბერიშვილი (9), მარკიშვილი (17), ნინაშვილი (3); ნიკოლაძე (19), როდუშა (6), ნონელია (5), ჩხატარაშვილი, მინაშვილი
აზოტი: ჟენტი (4), გოგობერიშვილი (14), ბოისა (6), ტუფანი (6), იმნაძე (5); ბაბიაშვილი (13), ლიპარტელიანი (3), არნივიძე (4), ცეკვაია (3)
მსაჯემი: ზაზა მაჩაიაძე, დავით ბერეკაშვილი, მავა კუპატაძე
პრემიერი: მურმან ქურდიე

თსუ-ნიკორა 90:79 **სტუ**
 26:23 16:21 20:17 28:18
თსუ-ნიკორა: მარხვაშვილი (16), ვეფხვაძე (3), საყვარელიძე (2), ბეჟანიშვილი (13), ტყეშელაშვილი (4); ფანულიძე (21), დიდა (11), ლეჟავა (10), ი. ბერიშვილი (7), კეშელაშვილი (3)
სტუ: ნინუა (8), მიქაძე (12), ხეტურიანი (20), ლ. შანიძე (13), მათიაშვილი (17); კვიციანი (5), მურჯიანელი (4)
მსაჯემი: ზაზა მაჩაიაძე, დავით ბერეკაშვილი, მავა კუპატაძე
პრემიერი: როლანდ ხომერიკი

12 მარტი. ვერის ბალი
ფინალი
თსუ-ნიკორა 81:79 **ავიატორი**
 ძირითადი დრო 67:67
 12:24 19:17 16:13 20:13 14:12
თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (13), ლეჟავა (24), საყვარელიძე (5), ბეჟანიშვილი (17), ტყეშელაშვილი; მარხვაშვილი (17), დიდა (4), ფანულიძე (1) ვეფხვაძე, სანიკიძე, კეშელაშვილი
ავიატორი: ტულუში (24), ბ. ბერიშვილი (10), ხოშტარია (24), მარკიშვილი (13), ნინაშვილი; როდუშა (6), მინაშვილი (2), ორმოცაძე, ნიკოლაძე
მსაჯემი: ზაზა მაჩაიაძე, დავით ბერეკაშვილი, მავა კუპატაძე
პრემიერი: როლანდ ხომერიკი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა თავისი პირველი ტიტული ისეთ დაძაბულ ბრძოლაში გამოაძრო, მოვლენათა დრამატიზების მიზნით ტრილერად რომ მოიხსენიებენ. „თსუ-ნიკორა“ ორჯერ ისეთ ვითარებაში იყო, თითქმის გამოუვალი ეთქმოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მაინც სტუდენტურად დამთავრდა — „ავიამშენმა“ წააგო თითქმის მოგებული თამაში.

თუ მესამე მეოთხედში 16 ქულით ჩამორჩენა კიდევ არ ნიშნავს წაგებას, სირენამდე 20 წამით აღრე ქულით ჩამორჩენილი გუნდის მოთამაშე ფარქვეშეში სროლას რომ გააცუდებს და მეტოქე საპასუხო შეტევაში საჯარიმოს ზახზე დადგება, გამოუსწორებელი ოპტიმისტი უნდა იყო, გამარჯვებისა დაიჯერო. სწორედ ასე დაემართა თსუ-ს, როცა მეტოქის აცილებული ბურთი კონტრშეტევის მეშვეობით „ავიამშენის“ კალათში უნდა ჩაეგდო, მაგრამ ვიორგი მარხვაშვილმა ფარქვეშეში ისეთი ბურთი ააცილა, ცხოვრებაში ვერ დაივიწყებს. ავიატორებმა საპასუხო კონტრგარღვევა წამოიწყეს და სტუდენტებმა კოტე ტულუში აკრძალული ილეთით შეაჩერეს.

სირენამდე 13 წამი რჩებოდა და ავიატორებს უკვე თასისკენ ეპარებოდათ თვალი. ტულუშმა პირველი საჯარიმო ჩააგდო, მეორე გაუცუდდა და ბურთი თსუ-ს გადამრჩენელმა ვაკო ბეჟანიშვილმა მოიხელთა. ის შეტევაში ელვირებურად გაიჭრა და „ავიამშენის“ ყველაზე გამოცდილი მოთამაშე, ამროსი ორმოცამდე მასზე დაჯარიმდა.



გაეოუზვით პორტუგალია!

ჯაგრი არ ვჭამეთ მტრისაო



ირაკლი მაჩხანელი პორტუგალიელთა დაცვა აიკლო და ორი ლელოც გამოაცხო

ავროპის ერთა თასი 2006. მასაჩი ტური



საპარტიველო 40:0 პორტუგალია

11 მარტი. თბილისი. ეროვნული. 14 საათი



საქართველო სოსხაძე (ბარკალია), მაჩხანელი, ურუჯუაშვილი, ა. გიორგაძე, ხაბაშურიძე (ელიზბარაშვილი), ჯიმშელაძე, აბუსერიძე (სამხარაძე), მაისურაძე (წხაიძე), ლაბაძე, ურუშაძე (დათუნაშვილი), გორგოძე, ზედგინიძე (კაპ), ზარაძე-ვილი (კუთარაშვილი), ა. გიორგაძე, შველიძე (სუფიაშვილი) 5ლ: მაჩხანელი (2), ზედგინიძე, გორგოძე, დათუნაშვილი, შვ: ურუჯუაშვილი;

პორტუგალია გრინუ (დ. მოტა), ფ. პიტუ, პორტელა, მატეუსი, ავილარი, დ. პიტუ (გემა), პინარი, კუტინიუ (ჩირუ), ვასკუუა (კაპ), პენალუა (კუმბრუ), გონსალუ უა (ბელია), დორი, სპაშუკი (კონსეისაუ), ფერეირა (ბ. მოტა), კორდეირუ

მსაჯეები: მახილო, დალმაზო, დეკასტრო (ყველა საფრანგეთი)

სინგინი: მაჩხანელი, ელიზბარაშვილი; 7:0 (45თ), 12:0 (15), 19:0 (21), 22:0 (33), 25:0 (46), 30:0 (58), 33:0 (63), 40:0 (68)

სომ პორტუგალია, ხომ ერთა თასის მფლობელია, ზედიზედ სამჯერ ხომ დავემარცხა ბორჯღალოსნები, მაგრამ გუშინწინდელ ჯახამდე ვისთვისაც უნდა გვეთხათ, ყველა გამარჯვების მილოდინით ივემენტლა ხელებს რაგბის კაემრის ერთმა ინკონტრო მონელემ სულ ცოტა, 15-ქულიანი უპირატესობით გამარჯვება იწინასწარმეტყველა და გვარიანდაც შეცდა 15 რა პედენა, ბორჯღალოსნებმა 40 ქულით შეუმსრეს პორტუგალიელი „ლიბოსები“, სუთი ერთმანეთზე უკეთესი ლელო გაუტანეს და ერთიც

არ გაატანინეს ლელო კი არა პირი-ნული „მელები“ საერთოდ უქლოდ გაიქმბოდნენ თავიანთ ბუნაგში. მოკლე, რეკანში შეღვა, თქენი, ჩენი და ყველას მოწონებული. ბორჯღალოსნებმა პირნათლად მოიხადეს ვალი და ეს სამი ზედიზედი მარცხი არ შეირჩინეს ვალი ვეღად და, ამ გამარჯვებით ბორჯღალოსნები გუნდი ევროპის მცირე ექვს ერში მორე ადვილზე დამკვიდრდა და 2007 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის კარგი საფუძველი შეიქმნა ეს შესარჩევ-საკვალიფიკაციო სისტემა ისე

ჩაუნღართავეთ ევროპული რაგბის მამებს, რომ მის გამოფერას ცალკე სტატია და გვარიანი საგაზეთო ფართი სჭირდება. ესკიბების დონეზე კი ეს სურათი ასე დაიხატება: მსოფლიოს თასზე გასასვლელ გადასწვეტ მატჩში ყველაზე ცუდ ვარიანტში ისევ პორტუგალიასთან მოგვიწვევს ორმატჩა ჯახი და გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთისკენ გზა ხსნილია, ისევ როგორც 2002 წლის 22 ნოემბერს რუსეთის ძლევიტ მოხდა ბორჯღალოსნების გუნდი 2003 წლის ავსტრალიის მსოფლიოს თასზე 40:0-ის შემდეგ პორტუგალია შეგვაშფოთებს?! გამოუშეთ „ლიბოსები“!

თამაშის დაწყებამდე კულისებში ხმები დადიოდა, პორტუგალიელებმა ტრაგეების გამო მთლად სასურველი შემადგენლობა ვერ ჩამოიფანესო. მათმა თავკაცმა ტომას მორაემმა მატჩამდე ქვა ააგდო, ისეთიც არაფერი, მშვენიერი შემადგენლობა გვევსო, მაგრამ ნამატჩვეს სულ სხვა ენაზე საუბრობდა. ტრაგებმა გვანარალო. ტრაგები რომ არა, რა მოხდებოდა, ამაზე ფიქრით შორს ნუ წავალთ, ჩვენ ის ვთქვათ, რა მოხდა.

უკვე მესამე წუთზე თემო სოსხაძემ ირაკლი მაჩხანელი გააქცია, ამა-ნაც 30-ოდ მეტრი ირბინა, ერთი მმოჭავიც გააცურა და ლელოების სათვალავი გასნა. ზედაც მახო ურ-



ტომას მორაემი

მატჩის უამბავ

ტომას მორაემი, პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „დღეს ორი განსხვავებული დონის ნაკრები თამაშობდა. ქართველებმა ყველა სარაგბო კომპონენტში გვაჯობეს, შეცდომების გამოყენებაც უკეთ მოახერხეს და სამართლიანად გაიმარჯვეს. ჩვენს გუნდს, ტრაგების მხრივ, პქინდა პრობლემები და ძირითადის რამდენიმე მოთამაშეც გვაკლდა. მაგალითად, იძულებულები ვიყავით, პქკერის პოზიციაზე ბურჯი გვეთამაშებინა, მაგრამ ამას თავის განსამართლებლად არ ვამბობ. საქართველოს დღეს ასეც და ისეც პორტუგალიაზე ვაცილებით ძლიერად გუნდი ჰყავს.“

ასეთი ანგარიშით წაუგბა სამღვილად საწყენია, მაგრამ პირიბას გაძლევი, ეს ჩვენს მორალურ მდგომარეობაზე ცუდად არ იმოქმედებს და რუმინეთთან სულ სხვა რაგბის ვითამაშებთ.“

მატა ნარიბანაშვილი, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი: „პორტუგალია ტაიმი პირქმინდად მოვივეთ, მეორეში კი ხარვეზები გვექონდა და ზოგიერთ ებზოდში მეტოქეს მწვავედ შემოტყვის საშუალება მივეცი, თუმცა, საბოლოოდ, კონტრშეტყვეებზე კარგად ავაწყვეთ თამაში და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ.“

ჩენი უახლოესი გეგმები ჩეხეთის და უკრაინას უკავშირდება, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებია, რომლებშიც წარმატების დიდი იმედი გვაქვს.“

მაღაზ ურუჯუაშვილი: „ბოლო სამი წელია პორტუგალია ვამტყარებდა. თითქმის ყოველთვის ჩვენ შეცდომებზე გვიტყვოდა და მატჩის ბედი ბოლო წუთებზე წყდებოდა, ხანდახან მსაჯეებიც ეხმარებოდნენ. დღეს სამართლიანად მოვივეთ და დავამტკიცეთ, რომ წინა მატჩებში მარცხი შემთხვევითობა იყო.“

ბესიკ ზამბურიძე: „დღეს პორტუგალიას ყველაფერში ვაჯობით და დავამტკიცეთ, რომ ჩვენამდე ბურჯი უკლიათ. წაგებულ მატჩებზე ღირსეული რეკანში ავიღეთ. მტონია, სათქმელიც არაფერი უნდა პქინდეთ, მეტიც, ახლო მომავალში საქართველოსთან წარმატების იმედიც დაუკარგეთ.“

ლადო წულუკიძე



თქენი ჩერია დამარცხებული პორტუგალია საბატიო დერფვანში

ირაკლი ფირაფხილი

ერთა თასი 2005-06	
11 მარტი	
რუმიანთი	ჩახეთი
რუმიანთი	6 0 1 +213 18
საპარტიველო	6 0 2 +187 18
პორტუგალია	4 1 2 -2 13
ჩახეთი	3 0 5 -103 9
რუსეთი	2 1 5 +44 7
სპარაინა	0 0 6 -339 0

მომდევნო ტური

18 მარტი	
ჩახეთი	საპარტიველო
პორტუგალია	რუმიანთი

დონტურიზმი გვიან... სამი ფინალი და ხუთი მედალი

ჭილაობის საერთაშორისო ფედერაციის ახალ ტურნირს, მსოფლიოს ოქროს პრიზს ამ უქმეზე ტაშკენტა უმასპინძლა. უზბეკეთის დედაქალაქში მსოფლიოს

უძლიერესი თავისუფალი სტილით მოჭიდებები შეიყარნენ. მათ შორის რვაკაციანი ქართული გუნდიც იყო. ზაზა თურმანიძის შეგირდებმა ხუთი მედალი მოიპოვეს და

ფინანსური წახალისებაც მიიღეს. ოქროს პრიზი ხომ სწორედ დიდი საპრიზო ფონდით გამოირჩევა.


ფილას ვებგვერდისგან ტურნირის ოპერატიულ გაშუქებას არც ველოდით, უზბეკური წყაროებისაც ნაკლებად გვეიმედებოდა და ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე დონტურიშვილს შევეხმიანეთ. უზბეკების ქართველმა ბერძენ-რომაელმა ტელეფონით მოგვითხრო ჩვენებურთა ჭილაობის შესახებ.

„პირველი ორის გარდა საქართველოს ნაკრებმა მედალი ვერცა წონაში აიღო. სამმა კაცმა სულაც ფინალში იჭიდავა, თუმცა გაჩემპიონება ერთმაც ვერ მოახერხა. ვერცხლის მედლები გელა საღირაშვილმა (74 კგ), რევაზ მინდორაშვილმა (84 კგ) და ლექსო მოდებაძემ (+120 კგ) აიღეს. მძიმე წონაში მეორე ქართველმაც იჭიდავა — ლუკა კურტანიძემ შესაბამისად აიჭიდავა. მანაც და ლექსომაც აქაურ ოლიმპიურ ჩემპიონ ტაიმაზოვთან წააგეს, მაგრამ არა უმავს, ეს ხომ რიგითი ტურნირი იყო. საქართველოს ნაკრები ამ პირველობას ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპად იყენებს და ბიჭებს საუკეთესო ფორმამდე მისაყვანად დრო სჭირდებათ. პრინციპი მთლიანად გიორგი გომეზიძემაც (96 კგ). საერთოდ, ამ ოქროს პრიზზე ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და ასეთ კონკურენციაში ამდენი მედლის აღება საკმაოდ კარგი შედეგია.“

აბა, როგორ იქნებოდა, დონტურასთვის თავის გვემბებზე არ გვეკითხა, მომავალ შაბათს ხომ ოქროს პრიზს ბერძენ-რომაელებიც გაითამაშებენ.

„ალბათ, ბულგარეთში ვერ ვიჭიდავებ. უზბეკეთის ნაკრები აზიის თამაშებისთვის ემზადება. ამ ტურნირს კი იმხელა მნიშვნელობას ანიჭებენ, შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატიც კი გამომატოვებინონ.“

ოთარ მალაგაძე



ლუკა კურტანიძემ პირველივე მძიმე ტურნირიდან მედალი ჩამოიტანა



ფილას ვებგვერდისგან ტურნირის ოპერატიულ გაშუქებას არც ველოდით

ილარიანა დაინფორმაცია დაასრულა

ერთდღიანი გამოდგა ქართველი მძლეოსნის დავით ილარიანის სირბილი მოსკოვის ტერაქვმა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

მოსკოვში ილარიანი მხოლოდ 60 მეტრ თარჯნზე გამოდიოდა. ქართველმა მძლეოსანმა თავისი საუკეთესო შედეგი 7,86 წამი კი აჩვენა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად — 36 მონაწილეს შორის ილარიანმა 24-ე ადგილი დაიკავა.

სამწუხაროდ, ილარიანი ერთადერთი ქართველი იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე და ჩვენთვის მოსკოვური მძლეოსნობა მისი თარჯნებით დაიწყო და დასრულდა.

საქმე

მარცხიანი ოსაკა

იაპონურ ოსაკაში პროფესიონალ სუმიოსტა მეორე ტრადიციული ტურნირი გახურდა. მარტის ბაშოზე ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოჰამა, მონღოლი ცისფერი დრაკონი, ასასიორუ „იმპერატორის თასის“ დაბრუნებას შეეცდებოდა. ამხე ხაინტურესო ჩვენთვის ლევან ცაგურიას, იგივე კოკაის, ან, უბრალოდ, „შავი ზღვის“ ჭილაობა უმაღლეს დივიზიონ მაკუტის მკვიდრმა პირველმა ევროპელმა იანვრის ბაშო კატეგორიით — დადებითი ბალანსით დაასრულა და თუ იქამდე დასავლეთის მეორე მუგამირა იყო, ახლა პირველია.

კოკაიმ ოსაკაშიც თუ ივაჟაკა, წოდებასაც გამოჰკრავს ხელს — კომუსები გახდება. საამისოდ თხუთმეტტურნიანი ბაშო მინიმუმ რვა მოგებით უნდა ჩამთავროს.

პირველი ტური გუმინ იყო და ცაგურიასთვის წარუმატებლად ჩაიარა. ჩვენებური თავისზე ცაცილე-

ბით მაღალწოდებთან მოჭიდავესთან, ოტკი ტიოტაიკასთან დამარცხდა. მლოლინიისამებრ, გამარჯვებით დაიწყო ასასიორუმ, იოკოჰამას ტიტულის უმთავრესმა კანდიდატმა ტონიატუმამ და ოტკიკობისთვის მქობრძობა ხაყუხომ. მოივო ორმეტრიანმა ბულგარელმა ოტკი კოტო-ოსიუმაც რამდენიმე დღის წინ „აღკანელ გულივერს“ ვარჯიშისას ისეთი ტრავმა მოუღია, მისი ოსაკაში ჭილაობა ერთხანს სათუოც კი გამხდარა. ტრავმის გართულების საფრთხე ვერც არსებობს, თუმცა კოტოსიოუ მაინც საჩემპიონო ბრძოლებს ჰპირდება ქოშავით.

დღეს მეორე ტურია. ცენტრალური შეხვედრა ასასიორუსა და იანვრის ბაშოზე მისი გამაძმარებლის, სულ რაღაც 13-კილოგრამიანი მონღოლი ამას დაპირისპირება იქნება. კოკაი კი მოგება-წაგებათა ვითარებას ექსიძექ ღეძიმასთან შეეცდება.

ოთარ მალაგაძე

საჭილაო აბგაბი საკალათბურთო დარგში

შაბათს ბათუმში „ბასკოს“ საკალათბურთო დარგში საჭილაო ხალიჩა გაიშალა და ხვალამდე არ აიშლება. ბერძენ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდებებსა ოთხი დღე თანაბრად გაიყვეს და საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატიც დაიწყო. ბერძენ-რომაელებმა საქმე გუმინ მოიღიეს. თავისუფლები კი საჭილაოდ დღეს გავლენ და ხვალ ვათვისუფლებთან ჩემპიონ-პრიზიორთა სია გუმინ საღამოს ჭილაობის ფედერაციის პრესატაშემ თამაშა ვინჯარაძემ მოგვაწვია, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ ტურნირი შეაფასა და სამომავლო აჭარულ გვემბებზეც თქვა:

„ბათუმის დარგში პირამდე ვაივსო. აჭარის გარდა გულმემატკიერები ჩამოსულ სპორტსმენებსაც ბლომად ჰყავდათ. სულ კი პირველობაზე 26 რაიონის 250-მდე მოჭიდავე მონაწილეობს მართლაც შამბეკდავად ჩაიარა ტურნირმა, რომელიც ამჯერად კალათბურთის დარგში ჩავატარეთ, მაგრამ მომ-

ავლ წელს ალბათ უკვე ჩვენი დარგშიც გვექნება. აჭარის მთავრობამ ჭილაობის ფედერაციას „ბასკოს“ გვერდით მდებარე სპორტსკოლის შენობა აჩუქა და თუ მოვლენები გვემის მიხედვით განვითარდა, სამომავლოდ ევროპული სტანდარტ-

ბის საჭილაო დარგში გვექნება. ჭაბუკია შორის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაცაა გვემამი. ამის თაობაზე ჭილაობის საერთაშორისო ფედერაციასთან მოლაპარაკებები უკვე წამოვიწყეთ კიდევ.“

ოთარ მალაგაძე

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ბერძენ-რომაული ჭილაობა. ბათუმი 11-12 მარტი	
50 კგ	74 კგ
1 შონი კაცია (ოზურგეთი)	1 ზაზა შავაძე (აჭარა)
2 ზვიად მგელაძე (ოზურგეთი)	2 ბექა როყვა (ოზურგეთი)
3 ირაკლი უნგაძე (თბილისი)	3 გიორგი მამუჭაძე (აჭარა)
3 არჩილ თურმანიძე (აჭარა)	3 გიორგი ცინცივიძე (ქუთაისი)
55 კგ	84 კგ
1 ლაშა გომიტიძე (ქუთაისი)	1 სერგო ნინუა (ქუთაისი)
2 შაბა ბაკურაძე (აჭარა)	2 დავით ქარჩავა (თბილისი)
3 ლევან კირკიტაძე (თბილისი)	3 ლევან ჩოქერი (თბილისი)
3 აკაკი კილუჩაძე (ოზურგეთი)	3 დავით უზირია (აფხაზეთი)
60 კგ	96 კგ
1 მინდია ოჯახიშვილი (აჭარა)	1 შვეტაძე ვიქტორია (ზობი)
2 ანტონ მამაგიშვილი (ქუთაისი)	2 გენადი ხელია (რუსთავი)
3 აკაკი ძამაშვილი (გარდაბანი)	3 ელგუჯა ბახილაძე (აჭარა)
3 კახაბერ მუჭავაძე (ოზურგეთი)	3 ვანტანე ბერაძე (ოზურგეთი)
66 კგ	+120 კგ
1 ილია გულბათაშვილი (თბილისი)	1 დიმიტრი ჯავახიშვილი (აჭარა)
2 გიორგი ჯავახია (თბილისი)	2 დავით ვახვახიშვილი (თბილისი)
3 ლაშა გუგუნაშვილი (გარდაბანი)	3 დავით ვარშანიძე (აჭარა)
3 მერაბ ქავია (აჭარა)	





ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი

სამეფო სპეციალური უდაბნოში უზმასერი ჯაღოქარ სენას გაუთანაბრდა

არ გამართლდა სპექტიკოსთა ვარაუდი — ძრავების ორასი ცხენისძალით დასუსტება „სამეფო რბოლებს“ მიმზიდველობას დაუკარგავსო. გუშინ ჯუჯა ბაპრეინის დედაქალაქ მანამას ავტოდრომზე მეფორმულეებმა დიდებული სახანაობა მოაწყვეს.

საათნახვერიან ვახსნის სპექტაკლში იყო ყველაფერი — უმაღლესი პილოტაჟი, დიდოსტატური ვასნრებები, თითოეული პოზიციისთვის უშეღავათო ტიდილი, ემპაჟური საბოქსე ტაქტიკა და ეფექტური, სარისკო მანევრებიც.

სოლისტებიდან ოთხეულს გამოვარჩევთ, მარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორებს — ფერნანდო ალონსოს, მიხაელ შუმახერსა და კიმი რაიკონენს და ვუნდერკინდ ახალბედა ნიკო როსბერგს.



ფერნანდო ალონსოს გამარჯვებისა პოდიუმზეც თითქოს არ ეჭვია

ბაპრეინში გამოჩენისთანავე გამორჩეული ყურადღება მსოფლიოს ჩემპიონ ფერნანდო ალონსოსკენ იყო მიმართული. 57-ე საპირველფორმულო სეზონის სასტარტო ეტაპის უმთავრეს ფავორიტად ლამის ერთხმად სწორედ მას თვლიდნენ. „სამეფო რბოლების“ ყველაზე ახალგაზრდა ტრიუმფატორიც იმედია ჩანდა: „პირველი რბოლის წინ ყოველთვის ბევრი კითხვაა, მით უმეტეს, ახლანდელი, შეცვლილი რეგლამენტის პირობებში. მაგრამ მშვიდად ვარ, რადგან გუნდმა ნაყოფიერად იმუშავა სეზონისწინა პერიოდში და ახალი „რენო“ საიმედო და კონკურენტუნარიანია. მარშანდელი ჩემპიონატი ისე დაიწყო, რომ ერთი-ორი რბოლის მოგებასა და რამდენიმე პოდიუმზე ფეიქრობდი, საბოლოოდ კი გაცილებით ბევრი გამოვიდა და ტიტული მოვიპოვე. ოცნება ამიხდა, ტრასაზე პირველნომრიანი მანქანით გავალ და ამ გამარჯვების გასამეორებლად ყველაფერს ვიღონებ.“

ჩემპიონმა შაბათს საკვალიფიკაციო საათი თავისი სტატუსის საკადრისად, უსწრაფეს ტემპში დაიწყო და ორ სერიაში საუკეთესო დრო დააფიქსირა.

ორიოდ სიტყვით განმარტავთ სრულიად ახალ, სამწარწილან საპოლუ სქემას. პირველ და მეორე 15-წუთიან გასვლებზე ექვს-ექვსი სუსტმედევანი მძღოლი ბრძოლას ეთიშება. დარჩენილი ათეული კი 20 წუთის განმავლობაში პოლ-პოზიციის მფლობელს არკვევს.

ვერ ვიტყვი, ეს გამოთიშვითი ფორმატი სრულყოფილიაო, თუმც მარშანდელ ჯერ ჯამურ, მერე კი ერთციდან ვარიანტს ნამდვილად სჯობს, შემთხვევითობის როლი პრაქტიკულად გამოირიცხა. ხარვეზი კი ის გახლავთ, რომ ჩქაროსნული წრისთვის ტრასაზე შეიძლება ერთდროულად 22-ივე პილოტი გავარდეს, ერთმანეთს ხელსაც შეუშლიან და ავარიული ვითარებაც შეიქმნება.

ცხელ-ცხელი მაგალითია ახალი ფერარული ფელიპე მასა, რომელსაც მეორე სასტარტო პოზიცია ეცოტავა და დაიჩივლა, ჩასა-

თველ წრეზე ჩემს წინ ნელმავალ ჯანკარლო ფიზიკელას რომ არ შევეფერებინე, მიხაელ შუმახერს პოულს ჩამოვართმევდიო. როგორ მოეწონთ 24 წლის ბრაზილიელის ამბიციურობა, რომლისთვისაც ეს „სკუდერი-ის“ შემადგენლობაში პირველი ეტაპი იყო.

ალონსომ დასკვნით ნაწილში მხოლოდ მეოთხე დრო აჩვენა: „მილიანობაში კვალიფიკაცია ძალიან გადაჭრითი იყო, ყველა ერთმანეთს ხელს უშლიდა. პირველ წრეზე შეცდომის გამო იძულებული გავხდი, მეორედ გავსულიყავი ტრეკზე, მაგრამ საკმაოდ გაცივითლი საბურავებით მხოლოდ მეოთხე გავხდი.“

მესამე სერია ფერარელთა აშკარა უპირატესობით აღინშნა — მათ საპირველო დავაში ვერავინ ჩაერია. ბოლო წუთზე მიხაელმა მორიგი უნაკლო ცდით სულ რაღაც ხუთი მეასედი წამით აჯობა ახალ მეწიფილს და 15-წლიან ზღაბრულ კარიერაში 65-ედ მოიგო საკვალიფიკაციო გავიბრება. ეს ლეგენდარული ბრაზილიელი „ჯადოქარის“ აირტონ სენას ფანტასტიკური რეკორდის გამეორებაა.

„წითელი ბარონი“ და მისი გუნდი წელიწადია, ასე გახარებული არ გვინახავს. მიხაელის მილიონობით ფანების უწინდელი ვით გამოცოცხლდნენ. ბაპრეინულმა ეტაპამ მით საამისო მიზეზი ნამდვილად მისცა: შეიღვზის ჩემპიონის გამოჯანმრთელებულმა ბედაურმა მიუღ 300-კილომეტრიან დისტანციაზე ღირსეულად იჯირითა და მხოლოდ წამით ჩამორჩა ჩემპიონის „რენოს“.

რბოლის დასაწყისში შუმახერის იყო, დაძვრისას არ შეფერხებულა და პირველ მოსახვევში ყველაზე წინ შევიდა. მასამ წესების დაცვით კი შეაფერხა ალონსო, მაგრამ ნანდომ ათიოდ წამში ოსტატურად შიდა მხრიდან აუარა გვერდი და შუმის გამოუდგა. ფილიპე ესპანელს კედში მიჰყვა და მერე წრეზე გასწრებას სცადა, მაგრამ ვერ მოხმა, „ფერარი“ გზას გადასცდა და ორი პოზიციაც დაკარგა. ბრაზილიელმა ბოქსებს მიაკითხა, მაგრამ დადლოკლი მარჯვენა უკან ბორბლის შეცვლას მექანიკოსებმა ორმოც წამზე მეტი მოანდომეს

რბოლის შედეგები

ბაპრეინის ღილი პრიზი 12 მარტი. მანამა დისტანცია — 57 წრე — 308,3კმ

